ETF Working together Learning for life
European Training Foundation

THE EU AGENCY SUPPORTING COUNTRIES TO DEVELOP THROUGH LEARNING

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო – საქართველო

ანგარიშის შინაარსი მთლიანად ETF-ის პასუხისმგებლობაა და არ ასახავს ევროკავშირის ინსტიტუტების შეხედულებებს.

© European Training Foundation, 2025

რეპროდუცირება ნებადართულია, წყაროს მითითების შემთხვევაში.

1. შესავალი

საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო NQF (GNQF) არის 8-დონიანი, ყოვლისმომცველი, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის კვალიფიკაციების შესაბამისობის უზრუნველყოფის ჩარჩო[1].

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE) კოორდინაციას უწევს NQF-ის განხორციელებას.

საქართველომ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი 2023 წელს მიიღო, შესაბამისად იგი მონაწილეობს ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან (EQF) დაკავშირებულ პროცესებში და არის EQF საკონსულტაციო ჯგუფის (EQF AG) წევრი. 2005 წელს იგი შეუერთდა ბოლონიის პროცესს ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში თანამშრომლობისთვის.

ჩამოყალიბებულია ინტეგრირების ისეთი სტრუქტურები, როგორიცაა მმართველობის მექანიზმები, ყალიბდება ინსტრუმენტები, მათ შორის ციფრული მონაცემთა ბაზები და ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ამრიგად, საქართველომ მიაღწია NQF შემუშავების გააქტიურების ეტაპს.

1 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, საქართველო https://eqe.ge/en/page/parent/787/erovnuli-kvalifikatsiebis-charcho

2. ეროვნული კონტექსტი

2.1 პოლიტიკური კონტექსტი

საქართველო არის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა. თუმცა, ამ სტატიის შექმნის მომენტისთვის არსებული პოლიტიკური ვითარების გამო, გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები პრაქტიკულად შეჩერებულია.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს GNQF-სა და EQF-ს შორის კავშირის დამყარებას.

ახალგაზრდების მხოლოდ 3.4% არის ჩარიცხული VET პროგრამებში, 2021 და 2022 წლებში მცირე ზრდის გათვალისწინებითაც კი. ამის საპირისპიროდ, ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი 12.4%-ია.[2] VET არა მხოლოდ არაპოპულარულია, არამედ იმედგაცრუებას იწვევს მასში ჩართული პირებისთვის - ყველა პროგრამაში დასრულების მაჩვენებელი მხოლოდ 56%-ია.

VET ჩარიცხვის დაბალი მაჩვენებლის განმაპირობებელი რამდენიმე მიზეზი არსებობს. ETF-ის ბოლოდროინდელმა კვლევამ აჩვენა, რომ VET-ის მიწოდების შესახებ ცნობიერების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, რასაც, თავის მხრივ, ამწვავებს კარიერული ორიენტაციის შეზღუდვა. გარდა ამისა, მხოლოდ რამდენიმე კოლეჯი სთავაზობს კანდიდატებს შრომის ბაზრისთვის შესაბამის პროგრამებს. ნაკლებად შეძლებული სტუდენტებისთვის წვდომას ხელს უშლის არასაკმარისი მატერიალური მხარდაჭერა.

ამის საპირისპიროდ, უმაღლესი განათლება უფრო პრესტიჟულია და შესაბამისად, გვაქვს ჩარიცხვის უფრო მაღალი მაჩვენებელიც.

მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პროცესის მონაწილეობის მაჩვენებელი კვლავ ძალიან დაბალია, 2022 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 1.6-ს შეადგენდა, მიუხედავად მთავრობის მიერ საქართველოში არსებული სამუშაო ძალის გადამზადების მცდელობებისა.

ამავდროულად, დასაქმების სააგენტოებმა (როგორც კერძო, ასევე საჯარო) დამსაქმებლების მიერ გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა დააფიქსირეს[3]. ახალგაზრდები და ქალები შრომის ბაზარზე მყოფ სხვა ჯგუფებთან შედარებით ყველაზე არახელსაყრელ მდგომარეობაში რჩებიან. მაგალითად, ევროსტატის მონაცემებით, 2023 წელს საქართველოში ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი 34.5%-ს შეადგენდა, რაც ორჯერ მეტია ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე.

კვალიფიკაციის შეუსაბამობა კვლავ შეშფოთების საგანია საქართველოს შრომის ბაზარზე. ETF-ის მიერ სხვადასხვა ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულმა კვლევამ (ETF, 2022) აჩვენა, რომ არსებობს

[2] VET საქართველოში, ძირითადი ინდიკატორები, უნარების სააგენტო 2023 (გამოუქვეყნებელი, მაგრამ ხელმისაწვდომი ETF-ისთვის)

[3] Country Fiche_Georgia_2024_EN_web.pdf

როგორც ზედმეტად მაღალი, ასევე არასაკმარისად მაღალი კვალიფიკაციის ფლობის შემთხვევები, რადგან ადამიანები ხშირად მუშაობენ ისეთ სამუშაოებზე, რომელიც არ შეესაბამება მათ საგანმანათლებლო დონეს.

განათლებისა და გადამზადების რეფორმა

საქართველოში განათლებისა და გადამზადების რეფორმას ხელმძღვანელობს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია. 2022-დან 2030-მდე[4]. ხდება სამი მთავარი პრიორიტეტის დანერგვა სექტორში ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების გადასაჭრელად:

- ხარისხი და შესაბამისობა: ფოკუსირება მასწავლებლების უნარების გაუმჯობესებაზე, ხარისხიან რესურსებზე წვდომის გაუმჯობესება; ინვესტირება საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაში; სკოლებსა და ძირითად დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება.

- თანასწორობა, ინკლუზიურობა და მრავალფეროვნება: განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ეთნიკური/ენობრივი კუთვნილების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად.

- მმართველობა, დაფინანსება და ანგარიშვალდებულება: კონცენტრირება სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნაზე, მონიტორინგისა და შეფასების პრაქტიკის შემუშავებაზე, კურსდამთავრებულთა მდგომარეობის მონიტორინგის სისტემის გაძლიერებაზე, სასკოლო სისტემის ოპტიმიზაციაზე, სკოლების ავტონომიის გაძლიერებასა და მათი შესაძლებლობების გაზრდასთან ერთად, გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაძლიერებაზე.

გარდა ამისა, ახალი VET სტრატეგია ცდილობს ამ სექტორის ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრას. მისი მიზანია ინკლუზიურობის დონის გაზრდა, განათლებისა და სწავლების ხარისხის ამაღლება, სკოლებისა და კოლეჯებისთვის მეტი ავტონომიის მინიჭება და კერძო სექტორისთვის უფრო დიდი როლის შეთავაზება, რაც განსაზღვრავს საჯარო და კერძო სექტორების შესაბამის პასუხისმგებლობებსა და ფუნქციებს.

VET სტრატეგია ეხება NQF-ის ინტეგრირებას პროფესიული კვალიფიკაციების სტანდარტიზაციის პროცესში და მის როლს ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, კერძოდ, VET კვალიფიკაციების შემუშავებისა და პროცესებში მათი ჩართვის კრიტერიუმების დადგენას.

NQF-ის შემუშავება ინტეგრირებულია NCEQE-ის სტრატეგიულ გეგმაში, კერძოდ, ეროვნული სისტემებისა და ინსტრუმენტების საერთაშორისო სტრუქტურებთან და კლასიფიკატორებთან შესაბამისობაში მოყვანის ღონისძიებებში. ეს მოიცავს:

- ეროვნული სასწავლო სფეროების კლასიფიკატორის განათლების საერთაშორისო სტანდარტულ კლასიფიკაციასთან (ISCED) შესაბამისობაში მოყვანას.
- GNQF-ს თვითსერტიფიცირებას QF-EQHEA-სთან მიმართებაში და მის მითითებას EQF-თან.

[4] 2022-2030 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

2.2 NQF-ს სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს მიმდინარე, გადახედილი NQF, კანონიერად დამტკიცდა მინისტრის 2019 წლის ბრძანების საფუძველზე. მისი პირველი ვერსია დამტკიცდა „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ კანონით, N49, რომელიც დამტკიცდა საქართველოს პარლამენტის მიერ, 2010 წელს.

2020 წელს მიღებულ იქნა სამართლებრივი აქტების სერია, როგორც ძირითადი საბაზისო დოკუმენტები საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის, განვითარებისა და მონიტორინგისთვის, მათ შორის ელექტრონული კვალიფიკაციების რეესტრის შექმნის შესახებ. ესენია:

- გადახედილი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სასწავლო სფეროების კლასიფიკატორი, დამტკიცებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, 2019 წელს (ბრძანება N69/n), 2019. სპეციალური მასწავლებლის კვალიფიკაცია შეტანილ იქნა GNQF-ში. სპეციალური მასწავლებლის უმაღლესი განათლების პროგრამის საორიენტაციო კრიტერიუმი ამ ცვლილებამდე შემუშავდა.

- სხვა მნიშვნელოვანი მიღებული საკანონმდებლო ბრძანებებიდან აღსანიშნავია შემდეგი საკანონმდებლო დოკუმენტები: (1) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება ãეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის, ასევე ელექტრონული კვალიფიკაციების რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესიÒ (ბრძანება N 103/n), რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე, 2020 წელი.

  ამ საკანონმდებლო აქტმა NCEQE დაადგინა, როგორც მთავარი მმართველი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია GNQF-ის მართვაზე, განვითარებაზე და მონიტორინგზე, ხოლო GNQF-ის საკონსულტაციო ჯგუფი ვალდებულია NCEQE-ის დირექტორისთვის რეკომენდაციების მიცემაზე განვითარების ძირითად საკითხებთან დაკავშირებით. პროფესიული კვალიფიკაციების განვითარების ფუნქცია დელეგირებულ იქნა ახლად შექმნილი პროფესიული უნარების სააგენტოსთვის, რომელიც პასუხისმგებელია პროფესიული მომზადების პოლიტიკის განხორციელებაზე. კვალიფიკაციების სააგენტო სთხოვს NCEQE-ს, შეიტანოს გადახედილი ან ახალი კვალიფიკაციები GNQF-ში.

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება ãეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სასწავლო სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა და შემუშავების მიზნით შექმნილი საკონსულტაციო საბჭოს დებულების შესახებÒ (ბრძანება N163567), ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე. 2020.

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება ãეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სასწავლო სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა და შემუშავების მიზნით შექმნილი საკონსულტაციო საბჭოს დამტკიცების შესახებÒ (ბრძანება N321010), ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე. 2020.

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N666 სასწავლო სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის შესახებ (N666/)5. ერთ-ერთი მთავარი ცვლილება უმაღლესი განათლების ერთობლივ პროგრამებს უკავშირდება. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ერთობლივი პროგრამა მეორე ქვეყნის HEI-სთან, პროგრამის მონაწილე მეორე ქვეყნის მიერ აღიარებული კვალიფიკაცია ავტომატურად ემატება სასწავლო სფეროების კლასიფიკატორს საჭირო უმაღლესი განათლების საორიენტაციო კრიტერიუმის წინასწარი შემუშავების გარეშე. 2022 წლიდან სასწავლო სფეროების კლასიფიკატორში 11 ცვლილება განხორციელდა.

5 https://eqe.ge/en/page/parent/787/erovnuli-kvalifikatsiebis-charcho

3. NQF-ის მიზნები და ფუნქციები

ხელისუფლების მიზანია, რომ GNQF-ს მიმდინარე რეფორმამ ხელი შეუწყოს განათლებისა და გადამზადების სისტემის რეფორმირებას, გაზარდოს გამჭვირვალობა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება NQF-ის განხორციელებასთან დაკავშირებით, ხელი შეუწყოს ფორმალური განათლების სექტორის გარეთ მინიჭებული ხარისხიანი უზრუნველყოფილი კვალიფიკაციების ჩართვას მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისთვის და ქართული კვალიფიკაციების საზღვარგარეთ აღიარებას.

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ კანონი NQF-სთვის ადგენს შემდეგ მიზნებს:

- კვალიფიკაციების კლასიფიკაცია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ძირითადი პრინციპების შესაბამისად - სწავლის შედეგებთან შესაბამისობა, ხარისხის უზრუნველყოფა, კვალიფიკაციებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.
- ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ურთიერთდაკავშირება, მართვა და განვითარება.
- მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა.
- კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მხარდაჭერა.
- კვალიფიკაციების თავსებადობის, შედარებადობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა საერთაშორისო დონეზე.
- მობილობის ხელშეწყობა.
- სწავლის დროს მიღებული ფორმალური განათლების აღიარების ხელშეწყობა.
- არაფორმალური განათლების აღიარების ხელშეწყობა.
- საზოგადოების ინფორმირება არსებული კვალიფიკაციების შესახებ.
- საგანმანათლებლო სისტემაში საზოგადოების ცვალებადი საჭიროებების დაკმაყოფილება და შესაბამისი კვალიფიკაციების აღწერის სტიმულირება.

ეროვნულ კონტექსტში NQF-ის ძირითადი ფუნქციების აღწერა შესაძლებელია სხვადასხვა მომხმარებლის პერსპექტივიდან:

- მოსწავლეებისთვის, NQF მხარს უჭერს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის დაგეგმვას, გზების იდენტიფიცირების გზით.
- განათლების მიმწოდებლებისთვის, NQF მხარს უჭერს კვალიფიკაციების მომავალ განვითარებას ყველა სასწავლო სფეროში.
- დამსაქმებლები თანამშრომლობენ HEI-თან უმაღლესი განათლების პროგრამების შედარების საკითხებში, NQF-ს გამოყენებით.

4. დონეები, სწავლის შედეგები და კვალიფიკაცია

4.1 NQF-ის სტრუქტურა და დონეების აღმწერები

საქართველოს NQF შედგება ერთიანი რვა დონიანი სტრუქტურისგან, რომლის დონის აღმწერი კატეგორიებია ცოდნა და გაგება, უნარები და პასუხისმგებლობა და ავტონომია, რომლებიც შექმნილია ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან (EQF) თავსებადობისთვის.

4.2 NQF-ის ფარგლები

NQF არის ყოვლისმომცველი ჩარჩო, რომელიც მოიცავს ზოგადი განათლების, საწყისი პროფესიული VET მომზადების, უმაღლესი განათლების და მოკლევადიანი პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების დასრულების შედეგად მინიჭებულ ყველა ტიპის კვალიფიკაციას - CVET კვალიფიკაციები.

ზოგადი განათლების კვალიფიკაციები განთავსებულია NQF-ის 2 და 4 VET დონეებზე, პროფესიული მომზადების კვალიფიკაციები - NQF-ის 3-5 დონეებზე, ხოლო უმაღლესი განათლების კვალიფიკაციები - 6-8 დონეებზე. CVET კვალიფიკაციები განთავსებულია ეროვნული კვალიფიკაციის 2-5 დონეებზე. ისინი ფორმალური განათლების ნაწილად ითვლება, ამიტომ მათი დონის მინიჭება შესაძლებელია NQF-ის ფარგლებში, ნებისმიერი იურიდიული პირის, მათ შორის ფორმალური განათლების სისტემის მიღმა არსებული პირების, მაგალითად კერძო კომპანიების, სასწავლო ცენტრების, ასოციაციები და ა.შ. მიერ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან უზრუნველყონ მოკლევადიანი ტრენინგის/გადამზადების პროგრამა დამოუკიდებლად ან საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია GNQF-ის ფარგლებში კლასიფიცირებული კვალიფიკაციის ტიპები.

კვალიფიკაციის ტიპები

NQF-ის დონეები	კვალიფიკაციები
დონე **1**	ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი
დონე **2**	პროფესიული გადამზადების მეორე დონის სერტიფიკატი პროფესიული მომზადების მეორე დონის სერტიფიკატი ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი ზოგადი განათლების საბაზისო დონის დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი
დონე **3**	პროფესიული გადამზადების მესამე დონის სერტიფიკატი პროფესიული მომზადების მესამე დონის სერტიფიკატი ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი საბაზისო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი
დონე **4**	პროფესიული გადამზადების მეოთხე დონის სერტიფიკატი

	პროფესიული გადამზადების მეოთხე დონის სერტიფიკატი ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი
დონე **5**	პროფესიული გადამზადების მეხუთე დონის სერტიფიკატი პროფესიული მომზადების მეხუთე დონის სერტიფიკატი უმაღლესი პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი ასოცირებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი
დონე **6**	მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი სპეციალური განათლების მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი ბაკალავრის დიპლომი
დონე **7**	ვეტერინარის მომზადების სერტიფიკატი ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი მაგისტრი/EMBA ვეტერინარიის მაგისტრის დიპლომი (MVSC) მაგისტრის ხარისხი განათლების სფეროში (M.Ed.) სერტიფიცირებული სტომატოლოგის დიპლომი სერტიფიცირებული სამედიცინო მუშაკის დიპლომი მაგისტრის დიპლომი
დონე **8**	დოქტორის დიპლომი

ცხრილის წყარო: NCEQE

მიუხედავად იმისა, რომ GNQF არ მოიცავს ნაწილობრივ კვალიფიკაციას, ის ღიაა მიკრო-სერტიფიკატებისთვის, სწავლის შედეგების ერთეულებისთვის და საერთაშორისო კვალიფიკაციებისთვის. ასეთი კვალიფიკაციის მიმწოდებლები შეიძლება იყოს საჯარო კოლეჯები და ა.შ., ხოლო დამსაქმებლებს შეუძლიათ მოითხოვონ აკრედიტაცია საკუთარი პროგრამების შესამუშავებლად, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია მიკრო-სერტიფიკატების მოპოვება.

ინტენსიურად განიხილებოდა უმაღლესი განათლების სფეროში მიკრო-სერტიფიკატების დანერგვა. NCEQE არის Erasmus+-ის რამდენიმე პროექტის (Micro-GEAR)[6] წევრი მიკრო-სერტიფიკატებთან დაკავშირებით. 2023 წელს, NCEQE-მ ჩაატარა კვლევა ამ თემაზე და შეიმუშავა რეკომენდაციები მიკრო-სერტიფიკატების დანერგვისთვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ.

უმაღლესი განათლების ერთობლიბვ პროგრამებში, პარტნიორი ქვეყნის კვალიფიკაციების ჩარჩოში აღიარებული და შეტანილი საერთაშორისო კვალიფიკაციები შეიძლება ავტომატურად დაემატოს საქართველოს NQF. 2022 წლიდან მოყოლებული, განხორციელდა 11 ასეთი კვალიფიკაციის ინტეგრირება.

პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამები განისაზღვრება სწავლის შედეგების ერთეულებში, რომელიც GNQF 2-5 დონეებზე.

[6] Micro-GEAR | მიკრო-სერტიფიკატები საქართველოსა და სომხეთის უმაღლესი განათლების სისტემებისთვის: სამხრეთ კავკასიის შუქურას პროექტი

საქართველოს NQF სახელმძღვანელო[7] განსაზღვრავს კვალიფიკაციების NQF-ში ჩართვის პროცედურებს. სტანდარტები, რომელიც ხელს უწყობს უმაღლესი განათლებისა და პროფესიული განათლების კვალიფიკაციების განვითარებას, ენიჭება კონკრეტულ სასწავლო სფეროებს, როგორც ეს განსაზღვრულია სასწავლო სფეროს კლასიფიკატორით.

პროგრამის აკრედიტაცია სავალდებულოა უმაღლესი განათლების მიმწოდებლებისთვის, რომლებიც გვთავაზობს პროგრამებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში შეტანილ კვალიფიკაციების მოპოვება. აკრედიტაცია ძალაშია 7 წლის განმავლობაში და ყველა აკრედიტებული პროგრამა შეტანილი იქნება ეროვნული კვალიფიკაციების ციფრულ რეესტრში.

პროგრამის აკრედიტაცია პროფესიული განათლების მიმწოდებლების ინსტიტუციური ავტორიზაციის განუყოფელი ნაწილია, რაც სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს. ეს ავტორიზაცია ძალაშია ექვსი წლის განმავლობაში. გარდა ამისა, პროფესიული განათლების დაწესებულებებს, რომლებიც გვთავაზობს პროფესიული კვალიფიკაციის მიმნიჭებელ პროგრამებს, უფლება აქვთ ნებისმიერ დროს დანერგონ ახალი პროგრამები, ახალი პროფესიული პროგრამების დანერგვასთან დაკავშირებული კანონიერი პროცედურების დაცვით. ყველა პროფესიული კვალიფიკაცია, სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატების მიღების შედეგად მიღებული მოკლევადიანი ტრენინგებისა და გადამზადების კურსებთან ერთად, აღირიცხება კვალიფიკაციების მომავალ ციფრულ რეესტრში.

2022 წლიდან დაახლოებით 40 ახალი კვალიფიკაცია შემუშავდა და შევიდა GNQF. 2023 წელს ეროვნულ კვალიფიკაციის ჩარჩოს დაემატა ბიზნესის ადმინისტრირების პირველი 60-კრედიტიანი მაგისტრის დონის კვალიფიკაცია. ეს კვალიფიკაცია შეესაბამება მე-7 დონეს, თუმცა არ არის დაკავშირებული 8 დონესთან.

სპეციალური მასწავლებლის, ექთნის და მეანის რეგულირებადი პროფესიების კვალიფიკაცია დაემატა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს.

4.3 სწავლის შედეგებისა და სტანდარტების გამოყენება და განახლება

სწავლის შედეგების მიდგომის გამოყენება სავალდებულოდ არის გათვალისწინებული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობით. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები მოითხოვს სწავლის შედეგების NQF მკაფიოდ განსაზღვრას, რომელიც შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დონის აღწერილობებს.

ზოგადი განათლების სფეროში, ეროვნული სასწავლო გეგმა მოიცავს დაწყებითი, საბაზო და უმაღლესი დონის ზოგადი საშუალო განათლების საგნობრივ სტანდარტებს, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება საგნობრივი სასწავლო შედეგების ჩამონათვალი უნარებისა და ცოდნის გათვალისწინებით, რომელსაც მოსწავლემ უნდა მიაღწიოს თითოეულ კლასში.

შედეგები გამოიყენება ხელმისაწვდომობისა და წინსვლის ხელშესაწყობად. იმ შეზღუდვების აღმოსაფხვრელად, რომელიც, როგორც წესი, ხელს უშლიდა პროფესიული განათლების სტუდენტებს უმაღლესი პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლების სფეროსთან

[7] https://eqe.ge/ka/page/static/1024/erovnuli-dokumentebi

წვდომაში, მოხდა ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრული ზოგადი საშუალო განათლების სასწავლო შედეგების ინტეგრირება პროფესიული განათლების პროგრამებში, პროფესიული განათლების სტუდენტებისთვის უმაღლესი პროფესიული განათლების კოლეჯებსა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებთან წვდომის უზრუნველყოფის მიზნით.

საქართველომ თანდათანობით ჩაანაცვლა საგნებზე დაფუძნებული პროფესიული კურსები მოდულური, კომპეტენციებზე დაფუძნებული პროგრამებით, ისე, რომ 2019 წლიდან პროფესიულ განათლების კურსზებზე ჩარიცხული ნებისმიერი ახალი სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, განათლება მიიღოს მოდულური პროგრამის მიხედვით. მოდულური პროგრამები ორიენტირებულია არა მხოლოდ პროფესიული უნარების, არამედ ზოგადი უნარების განვითარებაზეც, მაგალითად, წიგნიერება, მათემატიკური უნარები და ა.შ., ასევე ისეთი ზოგადი უნარები, როგორიცაა მეწარმეობა, უცხო ენებზე კომუნიკაცია, ციფრული კომპეტენციები და ა.შ. ზოგად საშუალო განათლებასთან ინტეგრირებული VET ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებში.

მოკლე ციკლის სასწავლო პროგრამები, რომლის გავლის შედეგადაც შესაძლებელია GNQF-ის მე-5 დონის ასოცირებული ხარისხის მოპოვება, შემუშავებულია პროფესიული განათლების ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პროფესიული განათლების სტანდარტის საფუძველზე. ამ პროგრამებიდან ზოგიერთი დამოუკიდებელი კურსია, ზოგი კი შექმნილია პირველი ან მეორე საფეხურის უმაღლესი განათლების პროგრამებზე გადასასვლელი წინაპირობის სახით. იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ამთავრებენ მე-5 დონის მოკლე ციკლის პროგრამებს და გადადიან პირველ ან მეორე საფეხურის პროგრამებზე, მიმღებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია აღიაროს მათ მიერ მიღებული კრედიტები.

უმაღლეს განათლებაში, პროგრამის აკრედიტაციის მთავარ ფუნქციებს შორისაა პროგრამის სწავლის შედეგების, მათი რელევანტურობისა და NQF-სთან შესაბამისობის შეფასება.

პროფესიული განათლების ახალ მოდულურ პროგრამებში გამოიყენება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სისტემა. თითოეული მოდული ეფუძნება სწავლის შედეგებს და მოიცავს შესრულების/შეფასების კრიტერიუმებს და მტკიცებულებების მოთხოვნებს. შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს შეფასების სტანდარტის მოთხოვნებს, შესაბამისი პროფესიული სტანდარტის საფუძველზე.

4.4 კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფა

NCEQE არის ერთადერთი ეროვნული ინსტიტუტი, რომელიც პასუხისმგებელია სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების გარე ხარისხის უზრუნველყოფაზე.

ეროვნული კვალიფიკაციების სისტემის ანალიზი საფუძველს უყრის ყველა კვალიფიკაციის და განათლების სხვადასხვა ქვე-სისტემების, კერძოდ, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფას.

საგნობრივი სტანდარტები შემუშავებულია ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზისო და საშუალო დონისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანში. ამ

პროცესში ჩართულია თითოეული საგნის ექსპერტთა ჯგუფები, პროცესის კოორდინაცია კი მიმდინარეობს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ. სასკოლო საზოგადოება, საგანმანათლებლო რეგიონული რესურს ცენტრები და სხვა ძირითადი დაინტერესებული მხარეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საგნების სტანდარტების ვალიდაციის პროცესში.

პროფესიული განათლების კვალიფიკაციებისთვის, პროფესიულ და საგანმანათლებლო სტანდარტებს ამუშავებენ სექტორული უნარების ორგანიზაციები (SSO) ქვეყნის ყველა ძირითად ეკონომიკურ სექტორში, პროფესიული უნარების სააგენტოს კოორდინაციით.

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციები ეფუძნება სექტორულ სტანდარტებს, რომელთა დამუშავებაც ხდება სექტორული საბჭოების მიერ. ეს კრიტერიუმები ადგენს თითოეული უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ძირითად მინიმალურ მოთხოვნებს, რაც მოიცავს სწავლის შედეგებს, კვალიფიკაციის დასახელებას, NQF-ის დონეს, კვალიფიკაციის მფლობელების დასაქმების სფეროებს და სხვა. შემუშავების პროცესს კოორდინაციას უწევს სსიპ - ეროვნული კვალიფიკაციის განათლება (NCEQE).

5. ინსტიტუციური მოწყობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა

5.1 NQF-ის მმართველობა და ინსტიტუციური მოწყობა

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო არის საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (GNQF) ძირითადი პოლიტიკის შემმუშავებელი ორგანო და ამტკიცებს მასთან დაკავშირებულ დებულებებს მინისტრის ბრძანებების საფუძველზე.

NCEQE არის GNQF-ის ეროვნული განმახორციელებელი ორგანო, რომელიც ანგარიშვალდებულია NQF-ის საკონსულტაციო ჯგუფის წინაშე.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE):

- ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას.
- აკონტროლებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების შესრულების პროცესებს.
- მხარს უჭერს პროვაიდერებს საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა და განვითარების პროცესებში.
- აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს.
- ადმინისტრირებას უწევს სტუდენტთა მობილობის პროცესებს.
- ახორციელებს უცხოური კვალიფიკაციებისა და სხვა საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარებასთან დაკავშირებულ პროცესებს.
- თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ცალკეულ ქვეყნებთან და მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში.

NCEQE ანგარიშვალდებულია NQF-ის საკონსულტაციო ჯგუფის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ NCEQE-ს ექსპერტები ახორციელებენ ჩარჩოს ტექნიკურ განვითარებას, მონიტორინგსა და განახლებას, GNQF-ის საკონსულტაციო ჯგუფი წარმოადგენს ფართო დაინტერესებულ მხარეთა ორგანოს. 2021 წელს შექმნილი ეს ორგანო მოქმედებს როგორც მმართველი საბჭო, რომელიც შედგება განათლების პროვაიდერების, დამსაქმებლების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სტუდენტების, დარგობრივი სამინისტროების და სავაჭრო პალატების წარმომადგენლებისგან. საკონსულტაციო ჯგუფის ამოცანაა NCEQE-ის დირექტორისთვის რეკომენდაციების მიწოდება განვითარებისასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე.

ჯგუფი უზრუნველყოფს GNQF-ის შესაბამისობას და თანმიმდევრულობას განათლებისა და გადამზადებისა და შრომის ბაზრის ფართო პოლიტიკასთან; კონსულტაციებს უწევს განათლების სამინისტროს; უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობას; ზედამხედველობს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს, ადგენს სტანდარტებს, აკონტროლებს შესაბამისობას და უზრუნველყოფს, საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობას.

ჯგუფი კოორდინაციას უწევს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სამთავრობო უწყებებთან და ინდუსტრიის წარმომადგენლებთან კავშირებს, რათა უზრუნველყოს უნივერსალურობა და ყველა დაინტერესებული მხარის საჭიროებების დაკმაყოფილება. ისინი ასევე აკვირდებიან და

აფასებენ აუცილებელი პროცესების სათანადოდ განხორციელების შედეგებს, აფასებენ მის ეფექტურობას და ახორციელებენ საჭირო ცვლილებებს მისი გავლენის გაუმჯობესების მიზნით. გარდა ამისა, საკონსულტაციო ჯგუფი მონაწილეობს შესაძლებლობების განვითარებისასთან დაკავშირებულ აქტივობებში, ტრენინგებში და მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, საჭირო პროცესების ეფექტურად განხორციელებაში8.

5.2 შემსრულებლებისა და დაინტერესებული მხარეების როლები და ფუნქციები

წარსულში, NCEQE კოორდინაციას უწევდა სექტორული ორგანიზაციების მუშაობას პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში, მაგრამ ეს ფუნქცია ახლა გადაეცა ახალ პროფესიული უნარების სააგენტოს (VSA).

VSA დაარსდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატების მიერ. ის ფუნქციონირებს 2022 წლის მარტიდან[9]. მისი მიზანია შრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებული ახალი პროფესიული პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა, ინოვაციური სასწავლო ინიციატივების მხარდაჭერა და დასაქმების ხელშეწყობა.

გარდა ამისა, ის მხარს უჭერს სექტორული უნარების ორგანიზაციების განვითარებას, რომლებიც შეიმუშავებენ კომპეტენციების სექტორულ რუკებს და ნერგავენ პროფესიული კვალიფიკაციის გადახედვის ახალ მეთოდოლოგიას. მათი როლი წარმოადგენს სექტორში ორმაგი და თანამშრომლობითი პროგრამების შემუშავების კოორდინაციას, სექტორის წარმომადგენლების პროფესიულ მომზადებაში მონაწილეობასა და სწავლის შედეგების შეფასებას.

VSA-მ ჩაანაცვლა წინა ad hoc სექტორული უნარების საბჭოები ახალი გრძელვადიანი ორგანოების შექმნით. 2022 წლის ბოლოსთვის შეიქმნა ცხრა სექტორული უნარების ორგანიზაცია (SSO). მათი შემადგენლობა ოფიციალურად დამტკიცებულია პროფესიული უნარების სააგენტოს საბჭოს მიერ.

---

8. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო-სა და სასწავლო სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების მიზნით შექმნილი საკონსულტაციო საბჭოს დამტკიცების შესახებ" (ბრძანება N321010) ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე.

9. ETF, პროფესიული განათლების, ტრენინგისა და დასაქმების ძირითადი პოლიტიკის განვითარება, საქართველო 2023.

6. წინასწარი სწავლების აღიარება და ვალიდაცია

6.1 არაფორმალური სწავლებისა და სწავლის მეთოდების აღიარება და ვალიდაცია

არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ კანონისა და სამოქმედო დოკუმენტაციის საფუძველზე10 შეიქმნა სამართლებრივი საფუძველი საქართველოში არაფორმალური სწავლებისა და სწავლის მეთოდების (VNIFL) ვალიდაციის განხორციელებისთვის. VNIFL-ის პროცედურები და წესები განახლდა 2019 წელს, რათა არაფორმალური სწავლების ვალიდაციის შესახებ ევროკავშირის NQF რეკომენდაციასთან (2012) შესაბამისობის და არაფორმალური სწავლების აღიარების მიზნით პროფესიული განათლების კვალიფიკაციისთვის ეროვნული კვალიფიკაციის ყველა დონეზე.

VNIFL პროცესი მოიცავს ოთხ ეტაპს, რომელიც შეესაბამება 2012 წლის ევროპული რეკომენდაციის ეტაპებს, კერძოდ, იდენტიფიკაციას, დოკუმენტაციის შედგენას, შეფასებას და სერტიფიცირებას.

VNIFL- VET ის მიზნებისთვის გამოიყენება პროფესიული განათლების სტანდარტები. შეფასების პროცესი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი პროფესიული განათლების VET სტანდარტის ან მოდულის სწავლის შედეგების შეფასების მოთხოვნებს. VNIFL პროცესის დასრულების შემდეგ, VET კანდიდატს შეიძლება მიენიჭოს პროფესიული განათლების კვალიფიკაცია სრულად, ან ნაწილობრივ.

VNIFL შეიძლება ჩატარდეს პროფესიული განათლების დაწესებულების ან იურიდიული პირის მიერ, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს სახელმწიფოს მიერ აღიარებული VET, მხოლოდ მისი ავტორიზებული პროგრამების ფარგლებში. ვალიდაციის შეთავაზების უფლების მისაღებად, რომლის მინიჭებაც ხდება NCEQE-ის მიერ, განმცხადებლებმა უნდა დააკმაყოფილონ მთავრობის მიერ დადგენილი წესები და პირობები11.

VNIFL პროცესის განსახორციელებლად, დაწესებულებამ უნდა შექმნას მინიმუმ 3 წევრისგან შემდგარი კომისია: დამსაქმებლის VET წარმომადგენელი შესაბამის სფეროში; პროფესიული განათლების მასწავლებელი შესაბამის სფეროში და დაწესებულების წარმომადგენელი. ეს კომისია იღებს გადაწყვეტილებას შეფასების დაშვებასა და ორგანიზებასთან, საგამოცდო კომისიის შექმნასა და მის შემადგენლობასთან, შეფასების შედეგების დადასტურებასა და კვალიფიკაციის ან ნაწილობრივი კვალიფიკაციის მინიჭებით აღიარებასთან დაკავშირებით.

ზოგად განათლებაში დაშვებულია დამატებითი სწავლება და შესაძლებელია ზოგადი განათლების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღება მხოლოდ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების საფუძველზე[10].

ვალიდაცია ხელმისაწვდომია პროფესიული კვალიფიკაციის ნაწილობრივი ან სრული მინიჭებისთვის ჩარჩოს მე-3, მე-4 და მე-5 დონეებზე და პროგრამებზე წვდომისთვის, რომელთა დასრულების შემდეგაც შესაძლებელია შესაბამისი კვალიფიკაციის მიღება.

ამ დროისთვის, ქვეყანაში ცხრა VET პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს მინიჭებული ვალიდაციის მომსახურების შეთავაზების უფლებამოსილება. მათგან მხოლოდ ორმა დანერგა ვალიდაციის პროცედურა, ინჟინერიისა და პირადი მომსახურების სფეროში, მაგრამ მხოლოდ ძალიან შეზღუდულმა რაოდენობამ მიიღო ნაწილობრივი აღიარება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით (ETF, 2023).

NCEQE გახლავთ საქართველოს წარმომადგენელი ENIC-NARIC ქსელში და პასუხისმგებელია ეროვნული და საერთაშორისო დიპლომების აღიარებაზე ეროვნული რეგულაციების, სწავლისა და კვალიფიკაციის აღიარების შესახებ საერთაშორისო კონვენციებისა და შეთანხმებების საფუძველზე.

6.2 კრედიტების მინიჭების სისტემები

უმაღლეს განათლებაში გამოიყენება კრედიტების გადატანისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS)11. ერთი ECTS კრედიტი უდრის სტუდენტის 25-30 საათობრივ დატვირთვას. ერთი აკადემიური წელი უდრის 60 ECTS კრედიტს, მაქსიმუმ 75 ECTS კრედიტია განსაზღვრული ინდივიდუალური პროგრამებისთვის. პირველი საფეხურის უმაღლესი განათლების პროგრამებისთვის განსაზღვრული უნდა იყოს მინიმუმ 240 ECTS; მეორე საფეხურის პროგრამებისთვი კი - არანაკლებ 120 ECTS-ისა.

თუმცა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შესაძლებელია 180 ECTS-იანი პირველი ციკლის პროგრამის შემუშავება ან 60 ECTS-იანი მეორე ციკლის პროგრამის შემუშავება სტუდენტების საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობისა და საერთაშორისო დონეზე ერთობლივი პროგრამების შესამუშავების მიზნით. მესამე ციკლის სასწავლო კომპონენტი არ შეიძლება იყოს 60 ECTS-ზე ნაკლები. ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის (კვალიფიკაცია) ფარგლებში მინიჭებული კრედიტები შეიძლება აღიარებულ

10 ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-9 მუხლი https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=84

11საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ 5.01.2007 ნომერი 3 https://eqe.ge/res/docs/201811301658573.pdf

იქნას იმავე დონის სხვა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციისთვის, სწავლის შედეგების შედარების საფუძველზე.12

ასევე გათვალისწინებულია კრედიტების VET გამოყენება პროფესიული განათლებისთვის. უმაღლეს განათლების სფეროშიც, ერთი კრედიტი უდრის სტუდენტის 25-30 საათიან დატვირთვას. კრედიტები ნაწილდება მოდულებსა და პროფესიული VET სტანდარტების VET შესაბამისად.

6.3 მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა

GNQF ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო ღიაა ფორმალური განათლების გარეთ მიღებული კვალიფიკაციებისთვის. GNQF ფორმალური განათლებისა და ტრენინგის გარეთ მინიჭებული კვალიფიკაციები შეიძლება შევიდეს ეროვნულ კვალიფიკაციის ჩარჩოში არაფორმალური და არაფორმალური სწავლების აღიარების გზით. არსებული სახელმწიფო სამართლებრივი ჩარჩოს თანახმად, ეს ეხება ზოგადი და პროფესიული განათლების კვალიფიკაციებს, GNQF-ის 2-5 დონეებს.

გეგმის შედაბამისად მოქმედი ეროვნული ციფრული რეესტრი მოიცავს ფორმალური სისტემის გარეთ არსებულ ყველა კვალიფიკაციას, რომელიც მიღებულია არაფორმალური სწავლების აღიარების გზით.

12 უმაღლესი განათლების შესახებ კანონი. მუხლი 50-1.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=80

7. NQF იმპლემენტაცია და ზემოქმედება

7.1. OBJ.განხორციელების ეტაპი

GNQF-მა მიაღწია აქტივაციის ეტაპს. ზოგიერთი დამსაქმებელი იყენებს NQF-ს, რათა აღწეროს მოთხოვნილი კვალიფიკაცია სამუშაოს ონლაინ რეკლამებში. შრომის ბაზრის დაინტერესებული მხარეები ხელს უწყობენ ახალი კვალიფიკაციის განვითარებას სამუშაო ჯგუფებში და სექტორული უნარების მქონე ორგანიზაციებში გაწევრიანების გზით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები იყენებენ ჩარჩოს სტანდარტების ან ეტალონების დანერგვის და გადასინჯვის მიზნით, პროგრამული სწავლის შედეგების შემუშავებისა და ეროვნული და ერთობლივი (საერთაშორისო) პროგრამების აკრედიტაციისთვის.

7.2 NQF/RQF დონის მითითება.

NQF დონეები ჯერ არ არის მითითებული სერტიფიკატებზე, თუმცა Europass-ის სერტიფიკატის დამატება, რომელიც გაცემულია პროფესიული პროფესიული განათლების ეროვნული დოკუმენტებით და დიპლომის დანართი, რომელიც გაცემულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციისთვის, შეიცავს NQF დონეებს.

7.3 NQF-ის გავრცელება

შემუშავდა სახელმძღვანელოები და სხვა დოკუმენტები და მოეწყო ღონისძიებები ჩარჩოს ფუნქციონირების მხარდაჭერის ან გასაჯაროების მიზნით. მათ შორისაა GNQF-ის სახელმძღვანელო[13]; ეროვნული კვალიფიკაციის სისტემის ანალიზი; რეგულარული საინფორმაციო შეხვედრები/თემატური სამუშაო შეხვედრები; NCEQE ვებ-გვერდი და სოციალური მედიის გვერდები[14]. სამიზნე ჯგუფი(ები) არიან, მოსწავლეები, განათლების სფეროს წარმომადგენლები, დამსაქმებლები, განათლების ექსპერტები და საერთაშორისო პარტნიორები.

GNQF სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია ქართულ და ინგლისურ ენებზე. მასში აღწერილია ჩარჩოს ზოგადი პრინციპები, მიზნები და კვალიფიკაციის ტიპები ყველა დონეზე. VET ანალიზი არის ყოვლისმომცველი დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციას ყველა კვალიფიკაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განათლების ყველა ქვე-სისტემაში, რომელიც მოიცავს ზოგად, პროფესიული საგანმანათლებლო და უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო დაწესებულებას.

რეგულარულად ტარდება შეხვედრები და თემატური ვორქშოფები განათლების სფეროს წარმომადგენელთათვის და დამსაქმებლებისთვის, მათ შორის სამუშაო შეხვედრები ახალი კვალიფიკაციის შემუშავების ან არსებულის გადასინჯვის მიზნით.

ჩარჩოს შემუშავების შესახებ სიახლეები რეგულარულად განთავსდება NCEQE-ის ვებ-გვერდზე და სოციალური მედიის ინსტრუმენტებსა თუ სერვისებზე.

---

13 GNQF სახელმძღვანელო. https://eqe.ge/ka/page/static/1024/erovnuli-dokumentebi

14 https://eqe.ge/ka/page/static/1024/erovnuli-dokumentebi

7.4 კვალიფიკაციის მონაცემთა ბაზები და რეესტრები

კვალიფიკაციის ეროვნული ციფრული რეესტრი, საქართველოს კვალიფიკაციის ელექტრონული რეესტრი, ამჟამად დამუშავების პროცესშია და 2026 წლიდან ამოქმედდება. მისი კონცეფცია და ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია EQF რეკომენდაციის VI დანართში; არჩეული მონაცემთა მოდელი უნდა იყოს თავსებადი ევროპულ მოდელთან[15].

ის მოიცავს ყველა კვალიფიკაციას, მათ შორის ფორმალური სისტემის მიღმა, და დაკავშირებული იქნება ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მონაცემთა მართვის ეროვნულ სისტემებთან და ევროპას პლატფორმასთან. სწავლის შედეგების მოკლე აღწერა გამოყენებული იქნება რეესტრში. მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.

2022 წლიდან მოყოლებული, დაახლოებით 40 ახალი კვალიფიკაცია შემუშავდა და შევიდა GNQF-ში. ბოლო წლებში ჩარჩოში დამატებული კვალიფიკაციის ახალი ტიპები მოიცავს MA 60-კრედიტიანი მაგისტრატურის კვალიფიკაციას ბიზნესის ადმინისტრირებაში მე-7 დონეზე და რეგულირებულ კვალიფიკაციას სპეციალური სწავლების, საექთნო და მეანობა.

7.5 NQF-ის გამოყენება უცხოური კვალიფიკაციის აღიარებისას

უცხოეთის უმაღლესი განათლებისა და პროფესიული განათლების კვალიფიკაციების ან სწავლის პერიოდების (კრედიტების) აღიარება ეფუძნება კვალიფიკაციის შედარებას, სწავლის შედეგების შესწავლას. უცხოური უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის აღიარება შესაძლებელია სწავლის პერიოდის სხვაობის მიუხედავად[16].

2024 წელს მთავრობამ შეიმუშავა ახალი რეფორმა უმაღლესი განათლების სფეროში, რომელიც მიზნად ისახავს ელექტრონული სწავლების უზრუნველყოფის რეგულირებას, რაც საშუალებას აძლევს ახალი პროგრამების მიწოდებას სრულად ონლაინ რეჟიმში, ისეთ სფეროებში, რომლებიც არ საჭიროებს პრაქტიკულ სწავლებას. მსგავსი ღონისძიებები განიხილება პროფესიული პროგრამების ჩასატარებლად.

გარდა ამისა, რეფორმა ასევე იძლევა საქართველოში მცხოვრები მოქალაქეების საზღვარგარეთ მიღებული ხარისხების აღიარების საშუალებას. ის ფოკუსირებულია საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც არ მოიცავს პრაქტიკულ ან სამუშაო ადგილის კომპონენტებს. თავდაპირველად, ეს აღიარება გავრცელდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების, გაერთიანებული სამეფოსა და აშშ-ის უნივერსიტეტებზე, აკრედიტაციის კონკრეტული კრიტერიუმების

15 https://europa.eu/europass/en/news/launch-european-learning-model

16 უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 50-ე მუხლი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=80

გათვალისწინებით, როგორიცაა აკრედიტებული რეგისტრირებული ორგანიზაციის მიერ, რომელიც ავტორიზებულია შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით[17].

7.6 კარიერული ხელმძღვანელობა და კონსულტაცია

ვებგვერდი https://vet.emis.ge ემსახურება VET ს ციფრულ რეესტრს. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის (LMIS) პორტალი (www.lmis.gov.ge) არის უნივერსალური საჯარო ვებ-პორტალი შრომის ბაზრის ტენდენციების, კარიერული ხელმძღვანელობისა და პროფესიული პროფილების შესახებ უახლესი ინფორმაციით. ის დაკავშირებულია პორტალთან www.vet.ge, რომელიც დაფუძნებულია VET-ზე.

7.7 NQF-ის ინფორმირებულობა და გამოყენება

NQF-მ თანდათან მიაღწია აღიარებას დამსაქმებლებს შორის. მათ წვლილი შეიტანეს, მაგალითად, დაახლოებით 60 უმაღლესი განათლების პროგრამის ეტალონის შემუშავებაში.

შრომის ბაზრის დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობა NQF-ის შესახებ თანდათან იზრდება. სამუშაო ჯგუფებისა და დარგობრივი უნარების საბჭოების წევრობით ისინი მონაწილეობენ ჯგუფებში, რომლებიც ავითარებენ ახალ ან არსებულ კვალიფიკაციას. მოსწავლეებისა და სტუდენტების ინფორმირებულობა GNQF-ის შესახებ შეიძლება შეფასდეს, როგორც ზომიერი.

ჩვეულებრივ, სამუშაოს განცხადებები შეიცავს ინფორმაციას კვალიფიკაციის ტიპისა და დონის შესახებ. სამუშაო პერსონალი და განსაკუთრებით სამუშაოს მაძიებლები, როგორც წესი, კარგად არიან ინფორმირებულები GNQF-ის შესახებ.

განათლებისა და გადამზადების მიმწოდებლების ინფორმირებულობის დონე GNQF-ის შესახებ მაღალია. ისინი იყენებენ NQF-ს, როგორც მითითებას პროგრამის სწავლის შედეგების შესამუშავებლად.

7.8 NQF-ის მონიტორინგი და შეფასება

კანონის თანახმად, ეროვნული ორგანოები ვალდებულნი არიან განახორციელონ NQF-ის შეფასება ყოველ 5 წელიწადში ერთხელ. NCEQE-ის დირექტორმა შექმნა ჯგუფი 2024 წელს, რათა დაიწყოს შემდეგი შეფასება, რომელიც დასრულდება მონიტორინგის ანგარიშით, რომელიც შეიცავს ძირითად მიგნებებსა და განვითარების რეკომენდაციებს.

7.9 NQF-ის გავლენა

17 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (mes.gov.ge)

ტრენინგის პროვაიდერებისთვის NQF არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც წარმართავს კვალიფიკაციის მომავალ განვითარებას ყველა სასწავლო სფეროში და წარმოადგენს არსებული სტატუს კვოს სურათს.

ხარისხის გარე უზრუნველყოფის მიზნებისთვის და კვალიფიკაციის აღიარებისთვის ეროვნული ინსტიტუტების მიერ NQF გამოიყენება სისტემის დონეზე.

ზოგადად, NQF საზღვარგარეთ შედარებასა და აღიარების მნიშვნელოვან მთარგმნელობით ინსტრუმენტად განიხილება. ის ასევე გამოიყენება როგორც საცნობარო ინსტრუმენტი ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და უზრუნველყოფისა და სტუდენტების სასწავლო მობილობის ხელშეწყობისთვის.

8. რეგიონულ ჩარჩოზე მითითება / სხვა ჩარჩოები

8.1 EQF/სხვა რეგიონულ ჩარჩოებზე მითითება

როგორც ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი, საქართველო არის EQF მრჩეველთა ჯგუფის (EQF AG) წევრი და ამდენად, შეუძლია დაიწყოს საქართველოს NQF-ის EQF-ზე მითითება[18]. შესაბამისად, 2025 წელს NCEQE-მ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც წარმართავს ტექნიკურ სამუშაოებსა და საკონსულტაციო პროცესებს, რომელიც აუცილებელია ანგარიშის მოსამზადებლად, რომელიც მოიცავს როგორც საქართველოს NQF-ის EQF-ზე მითითებას, ასევე მის ერთდროულ სერტიფიკაციას ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციის ჩარჩოში (QF-EHEA).

8.2 საერთაშორისო თანამშრომლობა

საქართველო არის EHEA, ანუ ბოლონიის პროცესის წევრი. მან მიიღო EHEA-ის ევროპული სტანდარტები და გაიდლაინები უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით. 2019 წლიდან NCEQE არის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) სრული წევრი და რეგისტრირებულია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ რეესტრში (EQAR).

NCEQE ასევე არის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ქსელის (CEENQA) წევრი.

NCEQE თანამშრომლობს როგორც სრული ან შვილობილი პარტნიორი ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში, რომლებიც მიზნად ისახავს უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლებას EHEA-ში.

ჩარჩოს განხორციელების მხარდასაჭერად 2019 წელს ამოქმედდა ევროკავშირის დამმობილების პროექტი „განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და კვალიფიკაციის მართვის შესაძლებლობების გაძლიერება“. მისი მიზანია მხარი დაუჭიროს NCEQE-ს განათლებისა და ტრენინგის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს ძირითადი ელემენტების შემდგომ განვითარებაში და ახალი NQF. პროექტმა განიხილა ხარისხის უზრუნველყოფის საკანონმდებლო და მარეგულირებელი საფუძვლები და NQF, შეიმუშავა მეთოდოლოგიის პაკეტები, გაძლიერდა ინსტიტუციური შესაძლებლობები და შეიმუშავა ტექნიკური სპეციფიკაციები NQF-ის ახალი ონლაინ რეესტრისა და პორტალისთვის (გამოქვეყნდება 2026 წელს).

აღსანიშნავად, NCEQE ასევე მასპინძლობს საქართველოს ENIC ცენტრს, რომელიც არის ENIC-NARIC ქსელის წევრი. საქართველომ ლისაბონის აღიარების კონვენციის რატიფიცირება 1999 წელს მოახდინა.

[18] [განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE) გახდა ევროპული კვალიფიკაციის ჩარჩოს (EQF) მრჩეველთა ჯგუფის წევრი]

საქართველო მონაწილეობს რამდენიმე ერასმუსი + პროექტში მიკრო სერტიფიკატების შესახებ, როგორიცაა Micro-Gear[19], რომელიც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მხარეებს ისწავლონ მიკრო სერტიფიკატების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკიდან, რომელიც ასევე შეესაბამება ევროპული საბჭოს რეკომენდაციას მიკრო სერტიფიკატების შესახებ უწყვეტი სწავლისა და დასაქმებისთვის. 2023 წელს NCEQE-მ მოამზადა თემატური ანალიზი ამ თემაზე და შეიმუშავა რეკომენდაციები აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებებისთვის ქვეყანაში მიკროკრედიტების დანერგვის მიზნით.

[19] Micro-GEAR | მიკრო-სერტიფიკატები საქართველოსა და სომხეთის უმაღლესი განათლების სისტემებისთვის: სამხრეთ კავკასიის შუქურას პროექტი

9. შეფასებები და გეგმები

GNQF-ის განხორციელება საშუალებას აძლევს NCEQE-ს, როგორც ექსპერტიზის ცენტრს და ერთგულ უფლებამოსილ ორგანოს. VSA-ს ინიციატივები სექტორული უნარების საბჭოების შექმნის შესახებ მხარს უჭერს პროფესიული განათლების კვალიფიკაციის შრომის ბაზარზე შესაბამისობას.

განათლებისა და ტრენინგის პროვაიდერები სულ უფრო ხშირად იყენებენ GNQF-ს პროგრამის შემუშავების ინფორმირებისთვის.

თუმცა, მოსწავლეთა საერთო ცნობიერება შესაძლოა ჯერ კიდევ ზომიერია. მნიშვნელოვანია გააუმჯობესოს და დანერგოს ეფექტური კომუნიკაციის მექანიზმები და ინსტრუმენტები, რათა NQF იყოს ოპერატიული და უფრო თვალსაჩინო საბოლოო მომხმარებლისთვის. მეტი ძალისხმევაა საჭირო NQF-ის გამოყენების შესახებ ცნობიერების ამაღლებისთვის როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სამუშაოს მაძიებლებისთვის, ასევე დამსაქმებლებისთვის და სახელმძღვანელო და კონსულტაციის პრაქტიკოსებისთვის. კვალიფიკაციის ეროვნული რეესტრის განხორციელება ხელს შეუწყობს ამ დაინტერესებულ მხარეებს და, იმედია, ჩაერთვება.

GNQF-ის EQF-ზე საბოლოო მითითება გააძლიერებს გამჭვირვალობას და კვალიფიკაციის აღიარებას.

აბრევიატურები

CEENQA	ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ქსელი
EHEA	ევროპის უმაღლესი განათლების სივრცე
ENIC-NARIC	საინფორმაციო ცენტრების ევროპული ქსელი და ეროვნული აკადემიური აღიარების საინფორმაციო ცენტრები ევროკავშირში
EQF	ევროპული კვალიფიკაციის ჩარჩო
HE	უმაღლესი განათლება
ISCED	განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია
GNQF	საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო
NCEQE	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NQF	ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო
SSC	დარგობრივი უნარების საბჭოები
VET	პროფესიული განათლება და მომზადება
VNFIL	არაფორმალური და არაფორმალური სწავლების ვალიდაცია
VSA	პროფესიული უნარების სააგენტო

ლიტერატურა

ევროპის სასწავლო ფონდი (ETF), *ძირითადი პოლიტიკის განვითარება განათლების, ტრენინგისა და დასაქმების მიმართულებით - საქართველო* 2024, *ტურინი* 2025 *წელი.* ხელმისაწვდომია ონლაინ მისამართზე: საქართველო | ETF

ევროპის სასწავლო ფონდი (ETF), საქართველოს *ქვეყნის ანგარიში, არაფორმალური და არაფორმალური სწავლების დადასტურება, ტურინი* 2024 *წ. ხელმისაწვდომია ონლაინ მისამართზე:* საქართველოს ქვეყნის ანგარიში არაფორმალური და არაფორმალური სწავლების ვალიდაცია 2023.pdf

ევროპის სასწავლო ფონდი (ETF), *პროფესიული განათლებისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა საქართველოში, ტურინი* 2021 *წ.* ხელმისაწვდომია ონლაინ მისამართზე: QA 2021_EaP Georgia fiche_EN ფინალი ვალიდაციისთვის და ვებისთვის

ევროპის სასწავლო ფონდი (ETF), კარიერის განვითარების მხარდაჭერის სისტემის მიმოხილვა, ტურინი 2022, კარიერული განვითარების მხარდაჭერის სისტემის მიმოხილვა – საქართველო | ETF

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, *კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩო და სასწავლო სფეროების კლასიფიკატორი, საქართველო* https://eqe.ge/en/page/parent/787/erovnuli-kvalifikatsiebis-charcho

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო 2022-2030 *განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია.* საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო